



საქართველო: ფინანსური ჩართულობა მიკრო და მცირე საწარმოთა ზრდისათვის („კრედო“)

პროექტის დასახელება GEO: საქართველო: ფინანსური ჩართულობა მიკრო და მცირე საწარმოთა ზრდისათვის („კრედო“)

პროექტის ნომერი 49227-001

მსესხებელი/კომპანია სს თი ბი სი ბანკი
შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედო
ფინკა ბანკი საქართველო

ქვეყანა საქართველო

მდებარეობა

დამტკიცების ნომერი

დახმარების ტიპი და მეთოდი -1 US\$ 0.00 დამუშავება

სტრატეგიული დღის წესრიგები ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა

ცვლილების მამოძრავებელი ფაქტორები გენდერული თანასწორობა და აქტუალიზაცია
გამოცდილების გაზიარება
კერძო სექტორის განვითარება

სექტორი/ქვე-სექტორი **ფინანსები** - ინკლუზიური ფინანსები

გენდერული თანასწორობა და აქტუალიზაცია გარკვეული გენდერული ელემენტები

ADB-ის პასუხისმგებელი დეპარტამენტი კერძო სექტორის ოპერაციების დეპარტამენტი

ADB-ის პასუხისმგებელი განყოფილება პორტფელის მართვის განყოფილება, PSOD

ADB-ის პასუხისმგებელი თანამშრომელი სტეფან ჰრუშკა

პროექტის სპონსორ(ებ)ი

აღწერა

მიზნები და მოქმედების სფერო

ADB-ის ტრანსაქციები ხელს შეუწყობს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა (MSME) და ფერმერთა ფინანსურ ჩართულობას. ADB-ის შემოთავაზებულ დახმარებაში შედის: (i) უპირატესი სესხი „კრედო“-სთვის \$23 მილიონამდე (ან მისი ეკვივალენტი ლარში) 4-წლიანი ვადით; (ii) სუბორდინირებული სესხი „თიბისი“-სათვის \$50 მილიონამდე (ან მისი ეკვივალენტი ევროში ან ლარში) 10-წლიანი ერთდროული დაფარვის ვადით; (iii) უპირატესი სესხი „თიბისი“-სათვის \$50 მილიონამდე (ან მისი ეკვივალენტი ევროში ან ლარში) 6.5-წლიანი ვადით; (iv) უპირატესი სესხი „ფინკა ბანკი საქართველო“-სთვის \$7 მილიონამდე (ან მისი ეკვივალენტი ლარში) 4-წლიანი ვადით; და (v) ტექნიკური დახმარების გრანტი \$1.05 მილიონამდე, რომელიც ხელს შეუწყობს (ა) თიბისი ბანკის მცირე და საშუალო ბიზნესის აკადემიის მომსახურებას; (ბ) „კრედო“-ს ბანკად გარდაქმნას; და (გ) სამივე ბანკის ეფექტურობის გაუმჯობესებას და სესხის განვითარებას და მცირე და საშუალო ბიზნესისა და ფერმერების დახმარებას უნარების გაუმჯობესების საქმეში, მათ შორის არა-საოფისე საბანკო მომსახურებასა და მასთან დაკავშირებულ ფინანსური წიგნიერების პროგრამებს მათი მომხმარებლებისთვის.

კავშირი ქვეყანის/რეგიონულ სტრატეგიასთან

სტრატეგია 2020-ის მიმოხილვის ფარგლებში, ADB მიზნად ისახავს, გააძლიეროს საფინანსო სექტორის მხარდაჭერა ფინანსური ინფრასტრუქტურის, ინსტიტუტებისა და პროდუქტებისა და მომსახურების განვითარების ხელშეწყობის გზით; და ინკლუზიური ზრდის სტიმულირებით.

მსესხებლების აქცენტის გადატანა დაფინანსების იმ სეგმენტებზე, რომლებშიც მაღალია დასაქმების და შემოსავლების გამოუმუშავების პოტენციალი, ხელს შეუწყობს ინკლუზიურ ზრდას. ADB-ის სესხები დაეხმარება მსესხებლებს მცირე და საშუალო ბიზნესისათვის სესხების გამოყოფაში მათი საინვესტიციო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ყოველივე ზემოთქმული შესაბამისობაშია მთავრობის ძალისხმევასთან, რომელიც მიმართულია სოფლად

ზრდის ხელშეწყობაზე, ასევე ADB-ის ქვეყნასთან თანამშრომლობის სტრატეგიასთან 2014-2018 წლებში.

ADB არსებით როლს თამაშობს საქართველოში ფინანსური მომსახურების გაღრმავების მხარდაჭერაში. 2007 წლიდან ADB-იმ ბანკებს გამოუყო \$125 მლნ ოდენობის არასუვერენული სესხები, რომლებიც მოიცავდა საქართველოს ბანკზე გაცემულ ორ სესხსა და თი-ბი-სი-ზე გაცემულ ერთ სესხს, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკისა და თი-ბი-სი-ს ტექნიკურ დახმარებას. საქართველოს ბანკი და თი-ბი-სი ასევე სარგებლობენ ADB-ის ვაჭრობის დაფინანსების პროგრამით, რომლის ლიმიტი \$30 მილიონს შეადგენს. თი-ბი-სი-სთვის სესხები დაფუძნებული იქნება მიმდინარე სესხზე; პირველი იქნება სესხები „ფინკა ბანკი საქართველო“-სთვის და „კრედო“-სთვის. ADB-ის ხელს უწყობს არასუვერენული პროექტების განვითარებას რაც ადგილობრივი სავალუტო ობლიგაციების ბაზრის შექმნის ძალისხმევასთან შესაბამისობაშია. ბანკი ასევე ხელს უწყობს კაპიტალის ბაზრების განვითარებას სუვერენული სესხების გამოყოფის გზით, მათ შორის, სახელშეკრულებო დანაზოგებს 2014 წელს დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში. ADB-ის ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტის პერსონალი მონაწილეობდა ტრანსაქციების დამუშავებაში.

გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების შეჯამება

გარემოსდაცვითი ასპექტები

თი-ბი-სი-ს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა (ESMS) შეესაბამება ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განცხადებას. თუ გავითვალისწინებთ მცირე, საშუალო ზომისა და ქვე-სესხების ლიმიტებს, „კრედო“-სა და „ფინკა ბანკი საქართველო“-ს ESMS-ები ადეკვატურად შეიძლება ჩაითვალოს. „კრედო“ და „ფინკა ბანკი საქართველო“ გააუმჯობესებენ თავიანთ ESMS-ებს მცირე ბიზნესის დაკრედიტების შემოღებამდე, რათა დააკმაყოფილონ ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნები.

იძულებითი განსახლება

მსესხებლების ბიზნესსაქმიანობას გააჩნია მინიმალური ან არ გააჩნია არანაირი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე და ნაკლებად სავარაუდოა, რომ მან გამოიწვიოს ზემოქმედება იძულებით განსახლებაზე და მკვიდრ მოსახლეებზე.

მკვიდრი მოსახლეები

მსესხებლების ბიზნესსაქმიანობას გააჩნია მინიმალური ან არ გააჩნია არანაირი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე და

ნაკლებად სავარაუდოა, რომ მან გამოიწვიოს ზემოქმედება იძულებით განსახლებაზე და მკვიდრ მოსახლეებზე.

დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია, მათი მონაწილეობა და კონსულტაცია

ძირითად დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ პროექტის მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების მსესხებლები. ისინი მონაწილეობენ ბაზრის უკვე საკმაოდ ფართო კვლევითი საქმიანობაში, რომელიც ინსტიტუტების მიერ ხორციელდება და მიზნად ისახავს ინდივიდუალური მენარმეებისათვის ყველაზე შესაფერისი სასესხო პროდუქტების განსაზღვრას. პროექტის მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებს ფილიალებში ქალაქსა თუ სოფლად გააჩნიათ მრჩეველების ფართო ეროვნული ქსელები, რომელთა მეშვეობითაც მათ შეუძლიათ ბენეფიციარების ჩართვა და მათი შესაძლებლობების გაფართოება. ინსტიტუტების სხვადასხვა სასესხო პროდუქტი, რომელიც მხარდაჭერილი იქნება პროექტის მიერ, განკუთვნილია კონკრეტულ სოციალ-ეკონომიკურ ჯგუფებზე, მაგალითად, შეჭირვებულებზე და ფინანსურად გარიყულ ადამიანებზე, რათა შესაძლებელი გახდეს მათი ჩართვა პროდუქტიულ ეკონომიკურ საქმიანობაში. პროექტი ასევე მოიცავს ტექნიკურ დახმარებას, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს სასესხო პროდუქტის შეთავაზებებს და გააძლიეროს სერვისების ეფექტურობა არა-საოფისე საბანკო მომსახურების მეშვეობით.

დახმარების დაპროექტების, დამუშავებისა და განხორციელების გრაფიკი

კონსეფციის დამტკიცება	-
შეფასება	
საკრედიტო კომიტეტის შეხვედრა	-
დამტკიცება	2015 წლის 10 დეკემბერი
პროექტის მონაცემთა ფურცლის განახლება	2016 წლის 24 თებერვალი

პროექტის მონაცემთა აღწერის ფურცელში წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაცია პროექტის ან პროგრამის შესახებ: იმის გამო, რომ პროექტის მონაცემთა აღწერის ფურცელი წარმოადგენს სამუშაო დოკუმენტს, გარკვეული ინფორმაცია შეიძლება არ შევიდეს მის თავდაპირველი ვერსიაში, თუმცა მისი დამატება მოხდება მას შემდეგ, რაც იგი ხელმისაწვდომი გახდება. ინფორმაცია შემოთავაზებული პროექტების შესახებ ჰიპოთეტური და საორიენტაციო ხასიათისაა.

ინფორმაციას, რომელსაც მოიცავს პროექტის მონაცემთა აღწერის ფურცელი, ADB იძლევა მხოლოდ და მხოლოდ რესურსის სახით, ყოველგვარი გარანტიის გარეშე. მაშინ, როდესაც ADB ცდილობს, უზრუნველყოს მაღალი ხარისხის შინაარსი, ინფორმაცია მონოდებელია „უცვლელად“, რაიმე სახის გარანტიის გარეშე, იქნება იგი გამოხატული თუ ნაგულისხმევი, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, სავაჭრო ვარგისიანობის, კონკრეტული მიზნისთვის გამოსადეგობის და გარანტიების ჩათვლით. ADB კონკრეტულად არ იძლევა რაიმე გარანტიას ან განცხადებებს არ აკეთებს ნებისმიერი ამგვარი ინფორმაციის სიზუსტისა თუ სისრულის თვალსაზრისით.